აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2016 წლის 29 დეკემბერი

აბაშა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებისა და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა (დანართი №2).

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №40 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ქურდოვანიძე**

დანართი №1

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოები (ლარებში)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2600
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2150
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1760
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1650
	წამყვანი საჯარო თანამდებობა	
5.	საკრებულოს აპარატის უფროსი	1450
	უფროსი საჯარო თანამდებობა	
6.	განყოფილების უფროსი	1000

7.	მთავარი სპეციალისტი	750

დანართი №2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეული
1.	აპარატის უფროსი	1
2.	იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი	1
3.	საქმის წარმოების განყოფილების უფროსი	1
4.	მთავარი სპეციალისტი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში	1
5.	იურიდიულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1
6.	საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1
7.	მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1
8.	საინფორმაციო უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი	1
9.	მთავარი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში	1
10.	მთავარი სპეციალისტი ახალგაზრდულ და დემოგრაფიულ საქმეთა საკითხებში	1
11.	მთავარი სპეციალისტი ქართული სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვის საკითხებში	1
12.	მთავარი სპეციალისტი (მდივანი)	1
	ხელშეკრულებით	
1.	სპეციალისტი (დამლაგებელი)	1
2.	სპეციალისტი (მძღოლი)	1
3.	სპეციალისტი (მძღოლი)	1
	სულ	15